საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის

დადგენილება №28
2017 წლის 28 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულებაში“ (სსმ, ვებგვერდი, 10.03.2014 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010220020.16.009.016082) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტს „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო^{1}“ ქვეპუნქტი:

„ო^{1}) მომსახურების კომერციული ხარისხის კონტროლის სამსახური;”;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელობს მთავარი მრჩეველი, ხოლო დეპარტამენტს – დირექტორი, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილე (მოადგილეები). დეპარტამენტში შეიძლება არსებობდეს სამმართველოები. სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, ხოლო სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.“.

2. მე-10 მუხლის:

ა) „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) ნორმატიული დანაკარგების ოდენობის გაანგარიშება და შესაბამისი პროექტის მომზადება;“.

3. მე-11 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) ნორმატიული დანაკარგების ოდენობის გაანგარიშება და შესაბამისი პროექტის მომზადება;

4. მე-12 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ნორმატიული დანაკარგების ოდენობის გაანგარიშება და შესაბამისი პროექტის მომზადება;“.

5. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი

მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების დარგების რეგულირების მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება და მათი სრულყოფის კოორდინაცია;

ბ) ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შემუშავება;

გ) რეგულირების საერთაშორისო ტენდენციებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების შესწავლა-ანალიზი და მათ საფუძველზე სათანადო წინადადებებისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

დ) რეგულირებას დაქვემდებარებულ საწარმოებზე ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა. ამავე საწარმოების მომსახურების შესახებ მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შესწავლა-დამუშავება, მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში ასახვის მიზნით;

ე) დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე განცხადებებისა და წერილების განხილვა და მათზე რეაგირება;

ვ) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში კომისიის ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულების კონტროლი;

ზ) გაწეული საქმიანობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშების შედგენა, რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოებზე ანგარიშების კონსოლიდაცია, ასევე კომისიის თავმჯდომარის დავალებით ნებისმიერი სხვა პერიოდისა და სახის ანგარიშების შედგენა.".

6. მე-17 მუხლის პირველ პუნქტს „ვ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^1" ქვეპუნქტი:

„ვ^1) კომისიის ცხელი ხაზით მომსახურების უზრუნველყოფა;".

7. 22-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 22^1 მუხლი:

„მუხლი 22^1. მომსახურების კომერციული ხარისხის კონტროლის სამსახური

მომსახურების კომერციული ხარისხის კონტროლის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატების, წყალმომარაგების ლიცენზიატების, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების ან/და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების მიერ საცალო მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის მონიტორინგი, მონიტორინგის სისტემის კოორდინირება და მისი სრულყოფის მიზნით, სათანადო წინადადებების შემუშავება;

ბ) ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატების, წყალმომარაგების ლიცენზიატების, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების ან/და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების მიერ საცალო მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის მონაცემთა შესწავლა-ანალიზი, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;

გ) მომსახურების კომერციული ხარისხის მონიტორინგის სისტემის, მათ შორის, კომერციული ხარისხის ელექტრონული ჟურნალის სათანადო ფუნქციონირება, საწარმოების მიერ მისი სრულფასოვნად დატვირთვის უზრუნველყოფა, ხარვეზებისა და შეცდომების გამოვლენა და მათზე რეაგირება;

დ) გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშების შედგენა, ასევე კომისიის თავმჯდომარის დავალებით ნებისმიერი სხვა პერიოდის ანგარიშის შედგენა;

ე) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე განცხადებებისა და წერილების განხილვა და რეაგირება.".

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**ირინა მილორავა**
კომისიის წევრი	**მაია მელიქიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**